ვლ. ემუხვარი. შენიშვნები პარლამენტარიზმის შესახებ

გაზეთმა „მომავალმა“ 1934 წლის N -ში გამოაქვეყნა ვლ. ემხვარის სტატია „შენიშვნები პარლამენტარიზმის შესახებ“, რასაც რედაქციამ მცირე შენიშვნაც დაურთო: „ვბეჭდავთ ჩვენი თანამემამულე პუბლიცისტის ბ. ვ. ემუხვარის წერილს პარლამენტარიზმის შესახებ, პირველ და საინტერესო ნიმუშს პარლამენტარიზმის კრიტიკისა ქართულ ენაზე. ბ. ვლ. ემუხვარი წინათაც თანამშრომლობდა გაზ. „თ. გ.“-ში და ჩვენი ძველი მეგობრების მიერ მისთვის მიუღებელი ხაზის აღების გამო, მან შესწყვიტა იქ თანამშრომლობა და ახალ გაზეთ „მომავალ“-ში განაგრძობს.

პარლამენტარული რეჟიმი გახდა უკანასკნელ ხანებში, თვით პარლამენტარულ ქვეყნებშიც, სასტიკ კრიტიკის საგნად.

ამ რეჟიმს ყოველთვის ყავდა მოწინააღმდეგენი, რომელნიც მასში არაფერს კარგს ხედავდენ. მის ნაკლულევანებას, თვით ბევრი მისი მოტრფიალენი, არ მალავენ. მაგრამ ისინი კმაყოფილდებოდენ იმით, რომ ეს რეჟიმი იყო საუკეთესო ფორმა უფლებრივ სახელმწიფოს განსახორციელებლად. მაგრამ დღეს კეთილსინდისიერ პოლიტიკოსთა უმრავლესობისათვის ცხადი გახდა, რომ ასეთ დასკვნაზე გაჩერება შეუძლებელია, ვინაიდან ფაშისტურ ტალღების ზრდამ პარლამენტარულ ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში, დასვა პოლიტიკურ თავისუფლების ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი, და ამრიგად, აუცილებელი შეიქმნა გადალახვა და გაუმჯობესება პარლამენტული რეჟიმისა, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, **გადალახვა პარლამენტარიზმის კრიზისის.**

უმთავრესი ნაკლი პარლამენტარიზმის, რომელიც პოლიტიკურ აზროვნებას თვალში ეცემა და რომელშიადაც იგი პარლამენტარიზმის ძირითად ნაკლს ხედავს - ეს არის პარტიების მრავალ-რიცხოვანობა და ამრიგად მთავრობის გადაქცევა პოლიტიკურ პარტია-

თა სათამაშო ბოლთად. ამ ნაკლიდან კი გამომდინარეობს საერთო შეხედულობით მართვა-გამგეობის ფატალური სისუსტე, უკეთ რომ ვსთქვათ, **მყარი მართვა-გამგეობის არ-არსებობა.** და პოლიტიკურ მოღვაწეთა მთავარი მეცადინეობა მიმართულია სწორედ ამ ნაკლის მომსპობ საშუალებათა ძებნაში.

ჩვენის აზრით ამ ძებნას საბოლოოდ არ ექნება საფუძვლიანი ნაყოფი, ვინაიდან ის, რაც პარლამენტარიზმის კრიზისის მიზეზად არის აღიარებული, პარტიათა მრავალრიცხოვანება, - არ არის პარლამენტარიზმის კრიზისის ძირითადი მიზეზი, მისი ძირითადი ნაკლი, მიზეზი უფრო ღრმაა, ვინემ ეს ევროპიელ პოლიტიკოსებს ჰგონიათ, და ამიტომ მათ მიერ ნაპოვნ საშუალებათ ექნება, ვითარცა პალიატივებს, მხოლოდ დროებითი წარმავალი ხასიათი, ავადმყოფობის ძირითადი მიზეზი არ იქნება გაქარწყლებული, ამიტომ იგი ადრე თუ გვიან თავს იჩენს და სახელმწიფოებრივ სხეულს კვლავ საფრთხეში ჩააყენებს.

თუ ევროპულ პოლიტიკოსებს ვერ უპოვნიათ პარლამენტარიზმის ნამდვილი, ძირითადი ნაკლი, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მათ ეს ავადმყოფობა შედარებით ძლიერ სხეულებზედ აქვთ შესწავლილი დაწინაურებულ ქვეყნებში, მათ არ შეუსწავლიათ პარლამენტარიზმი ჩამორჩენილ კუთხეებში. მათ მაგალითად არ იციან, რომ იყო სახელმწიფო, რომელსაც სახელად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდებოდა, სადაც ერის სუვერენიტეტი იყო ხელშეუხებელ პრინციპად აღიარებული, მთავრობა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი, მაშასადამე, მის უმრავლესობის ნებისყოფისაგან დამოკიდებული. აქ არ არსებობდა პარტიათა მრავალრიცხოვანება, იყო მყარი უმრავლესობა, მაშასადამე, მყარი მართვა-გამგეობა. მაგრამ სწორედ ეს გარემოება წარმოადგენდა საშინელ უბედურებას, ვინაიდან ფაქტიურად ერის ხელმძღვანელობა და ბედიღბალი გაბატონებულ პარტიის მონოპოლიას წარმოადგენდა და არავითარ ჯადოსნურ ძალას არ შეეძლო პარლამენტში კრიზისის შექმნა, მაშასადამე, პარლამენტარული გზით მთავრობის ჩა-

მოგდება. სწორედ ქართველი ერი გახდა მსხვერპლი პარლამენტარიზმის იმ ნაკლის უარსებობის, რომელიც ევროპაში მის ძირითად ნაკლად არის აღიარებული და რომლის ლიკვიდაციისაკენ არის მიმართული უკეთილშობილეს პოლიტიკოსების მეცადინეობა.

პარლამენტარიზმის ძირითადი ნაკლის აღმოჩენა გულისხმობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში საზოგადო სავალდებულო პრინციპების არსებობის აღიარებას, პრინციპი მიზანშეწონილების, რომელიც ძალიან გავრცელებულია პოლიტიკურ აზროვნებაში, ვითარცა რეაქცია ეგრედ წოდებული **ბუნებრივი** უფლების, არის მეტის მეტად ცუდი მოკავშირე სწორ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის აღმოჩენის საქმეში. სახელმწიფოს აქვს თავისი ბუნება, თავისი ლოღიკა, მისი განვითარება ემორჩილება რკინისებურ კანონებს, არის პრინციპები, რომელთაც აბსოლუტურ ჭეშმარიტების ღირებულება აქვთ და რომელიც უნდა იყოს სახელმძღვანელოდ მიღებული ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ საკითხების გადასაწყვეტად.

არის თუ არა ასეთი სახელმძღვანელო პრინციპი პარლამენტარულ რეჟიმის დასაფასებლად, მისი ძირითადი ნაკლის აღმოსაჩენად? ჩვენის აზრით ასეთი პრინციპი არსებობს და იგი შემდეგში მდგომარეობს: **სახელმწიფოში აუცილებლად დაწესებულებას, ინსტიტუტს, დაწესებულება, ინსტიტუტი უნდა ქმნიდეს.**

პარლამენტარული რეჟიმი სწორედ ვერ იცავს სავსებით ამ პრინციპს, არ სცდილობს მის სრულ, ინტეგრალურ ტრიუმფს და სწორედ ამაშია მისი ძირითადი ნაკლი, მთავარი მიზეზი ამ რეჟიმის კრიზისის.

რომელია პარლამენტარული ქვეყნის მთავარი ინსტიტუტი? ეს არის ამომრჩეველთა კოლეგია, გამომსახველი ერის სუვერენიტეტის, მორალური და უფლებრივი ბაზა მართვა-გამგეობის.

ეს ინსტიტუტია წარმომშობი მეორე მთავარ ინსტიტუტის, პარლამენტის, **რომლისგან არის მთავრობა** პირდაპირ დამოკიდებული. მაგრამ ამ ინსტიტუტის, პარლამენტის ფორმაციაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ **კერძო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარ-**

ტიები, რომელთა ბუნებას არაფერი საერთო არ აქვთ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან, რომელთა არსებობა და მოქმედება არავითარ კანონს არ ემორჩილება. დღეს შეიძლება მათი რაოდენობა ერთი იყოს, ხვალ შეიძლება რომელიმე პარტია რამოდენიმე ნაწილად იქცეს, იგი შეიძლება გონიერ **ადამიანების ხელში იყოს,** მაგრან ისევე შეიძლება მის სათავეში გადარეულებიც მოექცენ. აი, სწორედ ეს ორგანიზაციები უდგენენ **ხალხს საარჩევნო კანდიდატებს.** ისინი სწყვეტენ კანონმდებელის მორალურ და ინტელექტუალურ თვისებებს, მაშასადამე, საკანონმდებლო დაწესებულების, პარლამენტის შემადგენლობა სრულებით წარმავალ, შემთხვევით ფაქტორზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, საკანონმდებლო დაწესებულება, რომელიც არსებითად ტაძარს უნდა წარმოადგენდეს, საჭიდაო მოედნად არის ქცეული და კანონმდებელი კი, იმის მაგივრად, რომ იყოს ნიმუში თავის ღირსების და ვალის შეგნების, არის მოჭიდავედ ქცეული.

კარგია, თუ გამარჯვება გონიერ პარტიისაა, ან პარტიებში გონიერი ელემენტები სჭარბობენ, მაგრამ ვაი მაშინ, თუ გონიერებასა და უგუნურებას შორის ბრძოლაში ძალთა განწყობილება უგუნურების მხარეზე გადიხარა!

როგორ უნდა მოეღოს ბოლო ასეთ თამაშს ბრმა შემთხვევას ერის ბედიღბალის გადაწყვეტაში?

ერთად ერთი საფუძვლიანი გზაა - არა პოლიტიკურ პარტიების აღკრძალვა, როგორც ამას ფაშისტური დიკტატურა ჩადის, არამედ მათთვის ჩამორთმევა კანდიდატთა წარდგენის კომპეტენციის. ასეთი კომპეტენცია არ უნდა ეკუთვნოდეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, მაშასადამე, არც ფაშისტურს. მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიათა მექანიკური გაუქმება და საკუთარ პოლიტიკურ პარტიის სახელმწიფო ინსტიტუტად ქცევა ნიშნავს ერთს სიმახინჯეს უფრო ღრმა და სასტიკ სიმახინჯეზე შეცვლას, რომ საერთო საარჩევნო უფლების გაუქმება წარმოადგენს ყალბ გზას, ამას თვით კეთილსინდისიერი ფაშისტებიც გრძნობენ, ამიტომ თვით ფაშისტური ხელი-

სუფლებანიც სცდილობენ თავიანთ რეჟიმს არჩევნებით მორალური საფუძველი მოუპოონ. მხოლოდ მათი არჩევნები წარმოადგენენ არა საერთო საარჩევნო ინსტიტუტის მოქმედებას, არამედ პლებისციტს, პარტიული დესპოტიზმის ინტერესებთან შეგუებულს. აქ არის გაუქმებული ცნება მოქალაქესი, როგორც სახელმწიფოს იდეალურ ბაზის, მაშასადამე, გაუქმებულია ერის ნებისყოფა, როგორც ლეგიტიმიტეტის იდეალური წყარო.

რა უფლებითაც სახელმწიფო კანონის სახით სწყვეტს **ამომრჩევლის** მორალურ და ინტელექტუალურ ღირებულებას, იმავე უფლებით სახელმწიფო უნდა სწყვეტდეს საარჩევნო კანდიდატის მორალურ და ინტელეკტუალურ ღირებულებას. მხოლოდ ერთია საზომი ამომრჩევლის, მეორეა საზომი კანონმდებლად ასარჩევ კანდიდატის. ყოველ შემთხვევაში ამ საზომს სუბიექტური ხასიათი არ უნდა ქონდეს, იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული მართველ წრეების სიმპატია-ანტიპატიისაგან, არამედ უნდა იყოს დაფუძნებული ობიეკტიურად სავალდებულო ნიშნებზე. ეს კი შესაძლებელია იქ, სადაც არსებობენ მეცნიერული დაწესებულებანი, სახელმწიფო მეცნიერებათა ტაძარნი.

საარჩევნო კოლეგიის გვერდით, რომლის ემანაციას უნდა წარმოადგენდეს საკანონმდებლო ორგანო, უნდა არსებობდეს საარჩევნო კანდიდატთა კოლეგია, და წარმომადგენელთა სახელმწიფო მეცნიერების კანონმდებლობათა მასწავლებელნი უნდა იყვნენ ექს ოფისიო ამ კოლეგიის წევრნი. ამათ გარდა, უნდა ქონდეს კანდიდატების უფლება მათ, ვისი ინტელეკტუალური უნარი საკანონმდებლო ფუნქციის აღსრულებისათვის შესაფერ გზით დადასტურებულ იქმნა პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტების მიერ. აქ ჩვენ განათლების ცენზს კი არ ვგულისხმობთ, ჩვენ საკმარისი მაგალითები გვაქვს დავასკვნათ, რომ თავისთავად განათლების ცენზი კიდევ არ გულისხმობს უნარს კანონმდებლობისას, ჩვენ სახეში არა მარტო განათლების ცენზი გვაქვს, არამედ ამასთან ერთად შესაფერ, მეცნიერული გზით დადასტურებული ერუდიციის ცენზი, განსაკუთრებით

მართველობისა და ფინანსების სფეროში ვინც პოლიტიკური განათლება მიიღო, და სურს ამ განათლებით ხალხს საკანონმდებლო ასპარეზზე ემსახუროს. მან უნდა მიიღოს შესაფერი ცხოვრების გამოცდილება და თანაც უნდა იქონიოს მუდმივი კონტაქტი იმ მეცნიერულ ტაძართან, რომელმაც იგი მოამზადა ცხოვრებისათვის და ცხოვრებისაკენ გზა დაულოცა. გზა კანონმდებლობისაკენ, სწორედ ამ ტაძარით უნდა მიდიოდეს.

თანამედროვე სახელმწიფოებრივი მექანიზმი წარმოადგენს ფრიად რთულ მოვლენას, რომლის ცოდნა პარტიულ კანდიდატებისათვის სავალდებულო არ არის. ძნელია კანონის გაგება, მით უფრო ძნელია მისი ცოდნა და ბევრად უფრო ძნელია მისი შექმნა. ეს კი ისეთ ტეხნიკურ მომზადებას თხოულობს, რომლისათვის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა არავითარ გარანტიას არ იძლევა. სრულებით დაუშვებელია, რომ კანონმდებელი არსებულ კანონთა შესახებ ცნობას მოხელეს ეკითხებოდეს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საფრანგეთის საპარლამენტო კომისიის მიერ ყოფილ პრეფექტის კიაპის დაკითხვის დროს. მას ერთი პარლამენტის წევრი შეეკითხა: - ვის აქვს უფლება უბრძანოს ჯარს, რომ მან ისროლოსო. ამაზედ თავმჯდომარემ მიუგო, რომ ამ საკითხს ვექილი კამპენკი სპეციალურად იკვლევსო და ცნობას მისგან მიიღებთო.

სრულიად დაუშვებელია და აღმაშფოთებელი ის მაგალითები, რომელთაც ადგილი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰქონდა და რომელნიც პარლამენტარიზმს, პოლიტიკურ პარტიათა ნებისყოფაზე დამყარებულ რეჟიმს სრულებით არ ეწინააღმდეგებიან. საქართველოს დამფუძნებელ კრებას ჰყავდა მთელი წყება წევრების, რომელთაც არ იცოდნენ ენა, რომელიც სავალდებულო იყო დამფუძნებელ კრების თუმცა ფიქტიურ, მაგრამ ოფიციალურ სხდომაზე, ეს იყო ქართული ენა, იცოდნენ მხოლოდ ის ენა, რომელზედაც სწარმოებდა დებატები დამფუძნებელ კრების ფაქტიურ, მაგრამ არა ოფიციალურ სხდომაზე, ესე იგი, სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის; ეს იყო რუსული ენა.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა საქართველოს ტერიტორიაზე ერთ ხანს წევრი ვყოფილიყავით პარლამენტის, რომელშიც იყვნენ წევრები, რომელთაც არც ერთ ენაზე წერა-კითხვა არ იცოდენ. ვისაც ასეთი სიმახინჯენი უნახავს, მისთვის არ არის საკმარისი ის პალიატივები, რომლითაც ევროპის პოლიტიკოსები სცდილობენ პარლამენტარულ რეჟიმის განკურნებას.

თუ სახელმწიფო არ აძლევს უფლებას არჩევნებისას მორალურად გახრწნილ პირებს, კრიმინალებს, ქურდ-ყაჩაღებს, იმავე უფლებით სახელმწიფოს შეუძლია და ვალდებულიც არის, საკანონმდებლო დაწესებულების კანდიდატობის უფლება არ მისცეს უმეცარს, ვინაიდან უმეცრება დანაშაულია კანონმდებლობისათვის, მაშასადამე, დანაშაულია მისთვის გზის გახსნა საკანონმდებლო დაწესებულებისაკენ. თანახმად ჩვენ მიერ წამოყენებული სისტემის, ამ დაწესებულების წევრები იქნებიან ერთის მხრივ სუფთა თეორეტიკოსები, საკანონმდებლო მეცნიერებათა აკადემიური მასწავლებელნი, მეორეს მხრივ პრაკტიკული თეორეტიკოსები, რომლებიც ამა თუ იმ პრაქტიკულ დარგში მოქმედობენ და ამავე დროს მეცნიერებასთან კონტაკტები აქვს შენარჩუნებული და მისი დასტურით საკანდიდატო სიაში მოხვედრილი.

ასეთი სისტემა სრულებით არ იქნება ხალხის სუვერენიტეტის შეზღუდვა, პირიქით, მისი სრული ტრიუმფი, ვინაიდან ვინც საკმარისად არის ხალხის გულში ჩახვედრილი, მან კარგად იცის, რომ ხალხს სძულს პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა, თანაც ხალხს უყვარს რჩეულნი გონების და გამოცდილების საუკეთესო წარმომადგენელნი. თუ მიუხედავად ამისა, ხალხი კლანჭებში უვარდება პოლიტიკურ პარტიას, რომელთანაც მას არავითარი სულიერი საერთო არა აქვს, ეს ხდება იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც სუსტი ნების მყოფი ფრინველი უვარდება პირდაღებულად მისკენ თვალებ-მიჩერებულ გველს. **ხალხის არჩევნებს მაშინ აქვს მნიშვნელობა და ღირებულობა, როცა მის წინაშე სდგას არჩევანი რჩეულთა შორის, და არა მაშინ, როდესაც მის წინაშე სდგას არჩევანი პოლიტიკურ პარ-**

ტიებს შორის. სახელმწიფომ უნდა შეჰქმნას ეს რჩეულთა კოლეგია, ყოველ საარჩევნო ოლქს უნდა ჰქონდეს თავისი სია, საკანდიდატოდ ღირსეულად ცნობილ პირების სია, ამომრჩევლების საქმე იქნება ამ სიიდან ეს თუ ის პირი ან პირები აირჩიოს თავის გემოვნების თანახმად. ამ შემთხვევაში უზრუნველი იქნება ცოდნისა და გამოცდილების მინიმუმი, რომელიც კანონმდებელს უნდა ახასიათებდეს, მომხდარი იქნება კანონმდებელთა ინვესტიტურა ხალხის მიერ, უზრუნველყოფილი იქნება მათი მორალური ავტორიტეტი, ხალხის უფლებაზე აღმოცენებული. რასაკვირველია, პოლიტიკურ პარტიებს უფლება უნდა ქონდეთ არსებობის, ვინაიდან თუ სახელმწიფოს უფლება და ვალია მოსთხოვოს მოქალაქეს კანონისადმი ერთგულება და პატივისცემა, მას სახელმწიფოს არა აქვს უფლება მოახვიოს მოქალაქეთ ესა თუ ის აზრი, კიდევაც რომ ამ აზრს უმრავლესობა იზიარებდეს. მხოლოდ სრულებით ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ბუნებას, რომ საკანონმდებლო დაწესებულებაში ადგილი ჰქონდეს ისეთ პირებს, რომელნიც სცდილობენ სახელმწიფო წყობილების რევოლუციონურ აფეთქებას. რაც უნდა დემოკრატიული იყოს სახელმწიფო, მისი უფლება და ვალია გზა შეუკრას საკანონმდებლო დაწესებულებაში ისეთ პირს, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებათ პატივს არ სცემს და უნდა მათი რევოლუციონურ გზით გარდაქმნა და სახელმწიფოს ისეთივე უფლება აქვს ასეთ ნაბიჯისათვის, რა უფლებითაც მეორე სოციალ-დემოკრატიულმა ინტერნაციონალმა 1889 წელს პირველი ინტერნაციონალის ნანგრევებზე დაარსებულმა აუკრძალა ამ ინტერნაციონალში მონაწილეობა ანარქისტებს, რომელთაც პირველი ინტერნაციონალი მარქსს აუფეთქეს.

რასაკვირველია არის შემთხვევა, როდესაც რევოლუცია აუცილებელ და კანონიერ იარაღს წარმოადგენს, როგორც მაგალითად წარსულ რუსეთის ცარიზმის რეჟიმის დროს და ეხლანდელ კომუნისტურ რეჟიმის ხანაში. მაგრამ **რამდენადაც ეს რევოლუცია გრძელდება, იმდენად იგი ჰკარგავს თავის კონსტრუქტიულ ხასი-**

ათს, ღალატობს თავის ამოცანას. ეს ჭეშმარიტება იქმნა რუსეთის მარქსიზმის მიერ უარყოფილი და 1917 წელს ფეხქვეშ გათელილი. სწორედ ამიტომ დასავლეთ ევროპის დემოკრატიას პირველი სამკვდრო ლახვარი რუსეთის მარქსიზმმა ჩასცა გულში.

სოციალური რევოლუცია თავისი ბუნებით შეუძლებელია, რომ მოკლე ხნის იყოს. ამიტომ აუცილებლად მას სახელმწიფოებრივი დაშლა უნდა მოჰყვეს. რაც უნდა ძვირად უჯდეს მუშათა კლასს კაპიტალისტური რეჟიმი, მარქსისტების უმეცრება და ანტისახელმწიფოებრივი ბუნება მას უფრო ძვირად დაუჯდა დღემდის და დაუჯდება მომავალშიც. ტრიუმფი ფაშიზმის არის შედეგი სწორედ მარქსისტულ-დიკტატორულ პოლიტიკის, ფაშიზმი ეს არის ბრძოლა მარქსისტების წინააღმდეგ იმავე სახის დიქტატურის დაწესებით, რომლის იდეოლოგი და ფილოსოფოსი მარქსი იყო. განსხვავება იმაშია, რომ ფაშიზმი რევოლუციის მეორე დღესვე იწყებს ევოლუციას, ე. ი. სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. მარქსიზმის რევოლუციური ფილოსოფია არის რევოლუციის გაღრმავების პრინციპზე დამყარებული. რევოლუცია დემოკრატიულ სახელმწიფოში არის დანაშაული. იგი ერის სუვერენიტეტის პრინციპის წინააღმდეგ არის მიმართული.

რამდენად ფაშიზმი წინააღმდეგ მარქსიზმისა ცნობს სახელმწიფოს როგორც ერის არსებობის აუცილებელ ფორმას და იბრძვის მის ტრიუმფისათვის, ჩვენ მიერ წამოყენებული პრინციპი სავალდებულოა მისთვისაც, როგორც მიზანი, რომელიც მან უნდა განახორციელოს ეტაპებით, თუ არ სურს მას ერი რევოლუციის ხრამში გადააგდოს. პარლამენტარიზმის ნაკლის მოსპობა პოლიტიკური თავისუფლების გაქარწყლებით არ წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტას, თანახმად სახელმწიფოს იდეალურ ბუნების. დიქტატურა შესაძლებელია სახელმწიფოში და ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელიც, მაგრამ როგორც დროებით ადმინისტრატიული ზომა და როგორც სახელმწიფოებრივი ფორმა, როგორც ასეთი იგი ანტისახელმწიფოებრივ იდეას წარმოადგენს.

როდესაც რომელიმე პარტია იპყრობს ხელისუფლებას, რათა პარტიათა თარეშს ბოლო მოუღოს, ამით იგი ერისა და ისტორიის წინაშე ვალს კისრულობს, თავის არსებობა ზედმეტი გახადოს ე. ი. პარტიის კომპეტენცია სახელმწიფო დაწესებულების კომპეტენციად შესცვალოს. თუ ვინმე იფიქრებს, რომ სისტემის გატარებით მუშის ინტერესები დაიჩაგრება, იგი შემცდარია, ვინაიდან ის, რაც პრაქტიკულად გაკეთებულია მუშათა კლასის სასარგებლოდ განათლებულ სახელმწიფოებში ამას მუშათა კლასი სწორედ აკამედიურ მეცნიერების ინტეგრაციას უნდა უმადლოდეს. რამდენად სოციალური საკითხი არის ნაციონალურ შემოსავლის სამართლიანი განაწილების საკითხი, ამაზე სწორედ მეცნიერებამ იზრუნა. მარქსიზმმა იზრუნა მხოლოდ თვით ნაციონალურ შემოსავლის განადგურებისათვის ე.ი. სიღატაკის ტრიუმფისათვის. ამის საკმარის მაგალითს საქართველო იძლევა, სადაც მარქსისტულმა პოლიტიკამ ბათუმი ქალაქიდან სოფლად გადააქცია. არც მუშათა კლასის ღირსებას და არც მის ინტერესებს შეეფერება ავანტურისტულ დოქტრინით მისი გამეტიჩრება და გატრაბახება. სხვა არაფერი მარქსიზმს არ გაუკეთებია სიავის მეტი.

რასაკვირველია, ჩვენი სისტემის განხორციელება გულისხმობს ხანგრძლივ მუშაობას, მაგრამ ეს სისტემა უნდა მიიღონ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და უნდა სცადონ მის განხორციელება, თუ მათ სურთ ერის მომავალი მაგარ საფუძველზე ააშენონ. ეს სისტემა სავსებით ეთანხმება ძირითად პრინციპს ქრისტიანულ მორალისას, რომელიც ავალებს ადამიანს თავის მუდმივ გაუმჯობესებისათვის ზრუნვას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პრინციპი კოლექტიური ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით სახელმწიფოებისათვის არის სავალდებულო. მხოლოდ თუ პიროვნება უნდა მიილტოდეს ბოროტ ვნებათა ღელვის მონობისაგან განთავისუფლებისაკენ და სუფთა ნებისყოფის დამყარებისაკენ, სახელმწიფო უნდა მიილტოდეს სუფთა ურთიერთობის დამყარებისაკენ და ეს როგორც შიგნით, აგრეთვე გარედ, ე. ი. სახელმწიფოს ტრიუმფისაკენ **არა მარტო რო-**

გორც ერის არსებობის ფორმის, არამედ აგრედვე ერთა თანაარსებობის ფორმით. ეს უკარნახა სახელმწიფოს სუფთა ნებისყოფისა და სამარადისო მშვიდობიანობის მოციქულმა ფილოსოფოსმა კანტმა. სწორედ თუ რამე გაკეთდა ამ ნიადაგზე დღემდის, ამასაც კაცობრიობა მხოლოდ მეცნიერებას უნდა უმადლოდეს.

1919 წელს მეცნიერებამ მისი წარმომადგენელის ვილსონის სახით პირველი ბრძოლა მისცა ნებათა ღელვის პოლიტიკას ფილოსოფოს კანტის სამარადისო მშვიდობიანობის განხორციელებისათვის. ამ ბრძოლაში მეცნიერება მარტო დარჩა. რომ მარქსიზმის ტრიუმფი რუსეთში 1917 წელს მართლა მეცნიერული სოციალიზმის ტრიუმფი ყოფილიყო და არა უმეცრებისა და სიგიჟის, მაშინ ვილსონი 1919 წელს მარტო არ დარჩებოდა და კაცობრიობის ბედიღბალი უკეთესად გადაწყდებოდა. მარქსიზმმა არა თუ არ შეანელა ჩაგრულ კაცობრიობის ტკივილები, პირიქით, ისინი სასტიკად გააღრმავა. სხვანაირად არ შეეძლო ავანტიურისტულ დოქტრინას, დემაგოგიაზე და სიძულვილზე დამყარებულს. ეს დემაგოგია და სიძულვილი უნდა იქმნას განდევნილი საკანონმდებლო დაწესებულებიდან და ეს შეიძლება სწორედ ამ გზით, რომელიც ჩვენს მიერ არის ნაჩვენები.

თუ ქართველ ახალგაზრდობას სურს იბრძოლოს ერის მომავლის უზრუნველყოფისათვის, მან უნდა მიიღოს ეს გზა. ის უკარნახებს მას თავისი მისწრაფების მთავარ საგნად გაიხადოს ემბლემა 1918 წელს დაარსებულ და დღეს მტრის უღელ ქვეშ მყოფ ქართულ უნივერსიტეტის მეცნიერულ პოტენციისა და მისი გავლენა მომავალ განთავისუფლებულ ქართველ ერის ბედიღბალზე. ასეთი მიზანი მოითხოვს მეტს, მეტად მძიმე მუშაობას, რომელიც ბევრად უფრო ძნელია, ვინემ სამშობლოსათვის თავგანწირული სიკვდილი. მაგრამ სისხლით მორწყული საქართველოს მინდორ-ველები არა, ქართველ ერის ენით გამოუთქმელი გმინვა ნათლად მოწმობს იმას, რომ მას საკმარისად ჰყავდა ისეთი შვილები, რომელნიც მზად იყვნენ მისთვის სიცოცხლე შეეწირათ, მაგრამ არა ჰყავდა ისეთნი, რო-

მელნიც მზად იყვნენ შეეწირათ მისთვის ვნებათა ღელვანი და შესაფერის ნებისყოფით და გონიერებით ემუშავათ მისთვის.

თუ პატრიოტული ახალგაზრდობა ეთანხმებოდა პრინციპს ყოველთვის, რომ ქართველი ერის ბედიღბალი რჩეულთა ხელში ყოფილიყო, იგი სცდებოდა, როცა იგი თვითონ თავის სუბიეკტურ მასშტაბით სწყვეტდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი რჩეული. ბევრად უფრო კეთილშობილური და ნაყოფიერი იქნება მის მხრივ, ობიექტიურ მასშტაბით, ასეთ რჩეულთა ძებნა და თავის წრიდან მათი წარმოშობა, ვინემ ქართველ ერისათვის დიქტატორის ძებნა და უსინდისო კარიერისტების ნაფურთხში ცურვა. ქართველ ერმა საკმარისად იგემა დიქტატურა, ისევ აგრეთვე საკმარისად იგემა ავანტიურისტული დოქტრინები. ნაცვლად ახალ ავანტიურისტულ დოქტრინის თხზვისა და მის გარშემო უნაყოფოდ პატრიოტულ ძალების გაერთიანებისათვის ოცნებობას, უმჯობესია ცდა ცოცხალ ადამიანების ძალების ქმნა და გაერთიანება სახელმწიფო იდეალიზმის გარშემო. ანტისახელმწიფოებრივ მატერიალისტურ არქიტექტონიკით მოხიბლული და დამახინჯებული აზროვნება, ახალგაზრდობამ უნდა მოხიბლოს და გააჯანსაღოს კონსტრუქტიულ სახელმწიფოებრივი იდეალიზმით. ეს არის პოზიცია, რომელსაც ჩვენ ვადგევართ შეურყევლად 1918 წლიდან, რომლის გატარების ცდა ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში ჩვენთვის ყოველთვის დამარცხებით თავდებოდა, რაც ქართულ წრეებში თანაგრძნობის ნაცვლად ჩვენდამი დაცინვას იწვევდა. ჭეშმარიტება მაინც ჩვენს მხარეზეა!

„მომავალი“, ქართული პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ გამოცემა, პარიზი, 1934, N 3 ივნისი, გვ.2, 3, 4.